



## საგანმანათლებლო პროგრამა

---

შეთანხმებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან  
ოქმი №8, „7“ „ივლისი“, 2017 წელი  
სამსახურის უფროსი /დოქტ. დიანა მჭედლიშვილი/

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე  
ოქმი №15, „11“ „ივლისი“, 2017 წელი  
ფაკულტეტის დეკანი /პროფ. დოქტ. თამარ შიოშვილი/

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე  
ოქმი №9, „22“ „აგვისტო“, 2017 წელი  
რექტორი /პროფ. დოქტ. ილიას ჩილოღლუ/

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ინგლისური ფილოლოგია

თბილისი  
2017 წელი



## საგანმანათლებლო პროგრამა

---

**მიმართულება:** ჰუმანიტარული მეცნიერებანი

**დარგი / სპეციალობა:** ფილოლოგია 1005, ქვედარგი: ინგლისური ფილოლოგია 100502

**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** ინგლისური ფილოლოგია / English Philology

**ფაკულტეტი:** განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

**საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:** ნიკოლოზ ფარჯანაძე, პროფესორი, დოქტორი

მობილური: +995 558 902 185

ელ. ფოსტა: [nparjanadze@ibsu.edu.ge](mailto:nparjanadze@ibsu.edu.ge)

**განათლების საფეხური:** მაგისტრატურა (უმაღლესი განათლების II საფეხური)

**საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი / Master of English Philology

**კვალიფიკაციის კოდი:** 1005

**სწავლების ენა:** ინგლისური

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 120 ECTS კრედიტი



## საგანმანათლებლო პროგრამა

**პროგრამის სტრუქტურა:** უნივერსიტეტი იყენებს კრედიტების ტრანსფერის ევროპულ სისტემას (ECTS): 1 კრედიტი = 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც საკონტაქტო, ისე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების მოცულობაა 120 კრედიტი, მათ შორისაა:

კვლევის უნარებისა და აკადემიური წერის სასწავლო კურსი - 10 კრედიტი;

სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 60 კრედიტი;

სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი;

სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი.

### პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ხარისხის მქონე პირი, რომელიც წარმატებით ჩააბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდას. გარდა ამისა, პროგრამაზე სწავლის მსურველმა შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები უნდა ჩააბაროს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის და უცხოეთში გავლილი ინგლისურენოვანი პროგრამების კურსდამთავრებულები აბარებენ გამოცდას მხოლოდ სპეციალობაში, ხოლო დანარჩენები - სპეციალობის გარდა აბარებენ გამოცდას ინგლისურ ენაში, რომელიც შეესაბამება B2 დონეს ან წარადგენენ ამ დონის შესაბამის საერთაშორისო სერტიფიკატებს.

### საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

ინგლისური ენა დიდი ხანია დამკვიდრდა, როგორც ლინგვა ფრანკა საერთაშორისო ბიზნესს, პოლიტიკურ თუ კულტურულ არენაზე, და მისი, როგორც საერთაშორისო კომუნიკაციის ენის მნიშვნელობა დღითიდღე იზრდება. ინგლისური ენის ცოდნამ სასიცოცხლო როლი შეიძინა თანამედროვე სამყაროში. აქედან გამომდინარე, ინგლისური ენის ფილოლოგებს მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭებათ ერთა შორის კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ჰარმონიზაციის პროცესში.



## საგანმანათლებლო პროგრამა

ინგლისური ფილოლოგიის სფერო საკმაოდ ფართოა და გულისხმობს ინგლისური ენის და ანგლო-ამერიკული ლიტერატურის, კულტურის, ენის ფილოსოფიისა და ენის სწავლების ასპექტების შესწავლას. ამდენად, ინგლისური ენის ფილოლოგიის სპეციალობა ითვალისწინებს ლინგვისტური და კულტურული კომპეტენციის ფორმირებას. ინგლისური ფილოლოგიის ეს კონკრეტული ასპექტი სრულიად შეესაბამება ჩვენი უნივერსიტეტის მისწრაფებებს გააძლიეროს და გააღრმავოს კულტურათა შორის დიალოგი, რაც ხელს უწყობს ერთა შორის თანამშრომლობასა და მეგობრობას. ექვგარეშეა, რომ ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში საერთაშორისო გარემოს შექმნას; უფრო ფართო თვალსაზრისით კი, იგი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ისეთი პიროვნების ფორმირებაში, რომელსაც გააჩნია სწორი წარმოდგენა მოქალაქეობრივი მოვალეობებისა და თანამედროვე სამყაროს შესახებ.

პროგრამის მიზანია სტუდენტს განუვითაროს სათანადო კომპეტენცია ინგლისური ენისა და ლიტერატურის სფეროში. სასწავლო კურსები უზრუნველყოფს ინგლისური ენის მაღალკვალიფიციური ფილოლოგიის აღზრდას. კურსდამთავრებული შეიძენს ინგლისური ენათმეცნიერებისა და ანგლო-ამერიკული ლიტერატურის ღრმა ცოდნას, რაც ხელს შეუწყობს დარგის განვითარებას თანამედროვე აკადემიური და სამეცნიერო მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამა მიზნად ისახავს კურსდამთავრებული ადჰურვოს უნარ-ჩვევებით, რომლებიც აუცილებელია მომავალი დამოუკიდებელი კვლევისა თუ მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენებისათვის. კურსის მსვლელობისას ჩვენ განსაკუთრებულ აქცენტს ვაკეთებთ ინგლისურ ლინგვისტიკაზე (მის სხვადასხვა დარგზე), ანგლო-ამერიკულ ლიტერატურაზე, პედაგოგიკაზე, სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევებსა და მაღალი საფეხურის აკადემიური ინგლისურის სპეციფიკაზე, რადგანაც ჩვენი მიზანია ავლზარდოთ ინგლისური ენის ფილოლოგი, რომელიც შეძლებს მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების ეფექტურად და პროფესიონალიზმით გამოყენებას. ჩვენს კურსდამთავრებულებს შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელებულ მასწავლებლის მომზადების აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და მოიპოვონ ინგლისური ენის მასწავლებლად მუშაობის უფლება. კურსდამთავრებულებს ასევე შეუძლიათ იმუშაონ ნებისმიერ სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციაში, სადაც მუშაობა საჭიროებს ინგლისური ენის მაღალ დონეზე ფლობას. მათ ასევე ექნებათ ცოდნა და უნარ-ჩვევები აწარმოონ დამოუკიდებელი კვლევები ინგლისური ფილოლოგიის სფეროში.

სწავლის პერიოდში სტუდენტებმა უნდა შეასრულონ დიდი მოცულობით დამოუკიდებელი სამუშაო (პროგრამით გათვალისწინებული სავარჯიშოები, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტები, პრეზენტაციები, საკურსო ნაშრომები) იმისათვის, რომ პროგრამის



## საგანმანათლებლო პროგრამა

დამთავრებისას ჩამოუყალიბდეთ უწყვეტი განათლებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. ამ მიზნით საჭიროა გარკვეული მოცულობის თეორიული (პედაგოგიური და ლინგვისტური) ცოდნა, რომელიც უზრუნველყოფილია მთელ რიგ კურსებში. ღირებულებათა შორის, რომლებიც ჩამოუყალიბდებათ კურსდამთავრებულებს, იქნება ენების „შეგრძნება“, ენის შესწავლისადმი ინტერესი და პატივისცემა საკუთარი და სხვა კულტურისადმი, საგანმანათლებლო სფეროს კვლევისა და პრაქტიკული მუშაობის მიმართ ღრმა ინტერესი, ჰუმანისტური და დემოკრატიული პედაგოგიკის პრინციპებისადმი პატივისცემა. კურსის კონკრეტული მიზნები უზრუნველყოფს, რათა სტუდენტმა:

- გაიღრმავოს დარგობრივი ცოდნა ინგლისური ენისა და ლიტერატურის კვლევისა და თეორიების, ანგლო-ამერიკული ზოგადი და გამოყენებითი ლინგვისტიკის შესწავლის კუთხით;
- მოახერხოს შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება;
- გაიღრმავოს დარგობრივი და ზოგადი უნარ-ჩვევები და კომპეტენციები და გამოიყენოს ისინი კვლევასა თუ პროფესიულ პრაქტიკაში;
- გამოიმუშაოს დარგისადმი ღრმა ინტერესი და აწარმოოს კვლევები ინგლისური ენის სწავლების, ლინგვისტიკისა და ლიტერატურის კუთხით.

**სწავლის შედეგი:** ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებულებს ჩამოუყალიბდებათ სპეციალობისთვის აუცილებელი შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები.

<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ ინგლისური ენის ცოდნა, რომელიც ევროკავშირის მოთხოვნების მიხედვით შეესაბამება C1 დონეს;</li> <li>✓ თეორიული ცოდნა ლინგვისტიკის ისეთ დარგებში, როგორცაა გამოყენებითი ლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა და კომუნიკაციური გრამატიკა;</li> <li>✓ ინგლისური ფილოლოგიის კვლევის მეთოდოლოგიის სპეციფიკის ცოდნა;</li> </ul>
-------------------------------------	--



## საგანმანათლებლო პროგრამა

	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ ინტერდისციპლინური კვლევის ცოდნა ისეთ დარგებში;</li> <li>✓ ანგლო-ამერიკული ლიტერატურის ცოდნა - ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის ჟანრები და განვითარების ეტაპები.</li> </ul>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ პროფესიული ტერმინოლოგიის მუშაობის პროცესში გამოყენების უნარი, დარგთან დაკავშირებული საკუთარი მოსაზრების ფორმულირების, საკითხის განხილვისა და დისკუსიებში მონაწილეობის ან ანალიზის დროს;</li> <li>✓ საკუთარი მოზასრების პრაქტიკული მაგალითებითა და თეორიის გამოყენებით დასაბუთების უნარი;</li> <li>✓ სფეროს მნიშვნელოვანი საკითხების კვლევის მიზნით ინგლისური ფილოლოგიის სფეროს კვლევის მეთოდების გამოყენების უნარი;</li> <li>✓ ინგლისური ფილოლოგიის სფეროს სპეციფიური ლიტერატურის გაანალიზებისა და გააზრების უნარი;</li> <li>✓ ენის თეორიასა და ლიტერატურათმცოდნეობაში მიღებული ცოდნის დარგის სპეციფიური საკითხების კვლევის პროცესში გამოყენების უნარი.</li> </ul>
<p><b>დასკვნის უნარი</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ ინდუქციისა და დედუქციის, ასევე ანალოგიების ანალიზის გამოყენება ინგლისური ფილოლოგიის სპეციფიურ საკითხების შესახებ დასკვნების გაკეთების პროცესში;</li> <li>✓ ანალიტიკური უნარი, რაც უზრუნველყოფს ინფორმირებული დასკვნების გაკეთებას, რომლებიც ეფუძნება კონკრეტულ ინფორმაციასა და მონაცემებს;</li> <li>✓ ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის სფეროს მნიშვნელოვანი საკვლევი საკითხების შესახებ დასკვნების გაკეთების უნარი;</li> <li>✓ ლიტერატურული კრიტიკის გამოყენებით ინგლისური ლიტერატურული ტექსტების სიღრმისეული ანალიზის უნარი.</li> </ul>



## საგანმანათლებლო პროგრამა

<p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ ვერბალური კომუნიკაციის კომპეტენცია, რომელიც ევროკავშირის მოთხოვნების მიხედვით შეესაბამება C1 დონეს (მოსმენა, საუბარი, კითხვა, წერა);</li> <li>✓ არავერბალური კომუნიკაციის უნარი (ადექვატური ჟესტები, სხეულის ენა და თვალთ კონტაქტი; ეფექტური კომუნიკაციის მისაღწევად თვალსაჩინოების გამოყენების უნარი);</li> <li>✓ პრაგმატული კომპეტენცია (ვერბალური კომუნიკაციის მეშვეობით პრაქტიკული ამოცანების შესრულების უნარი), რომელიც ევროკავშირის მოთხოვნების მიხედვით შეესაბამება C1 დონეს;</li> <li>✓ პრეზენტაციის უნარი;</li> <li>✓ წყვილებში და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები;</li> <li>✓ პროფესიული ტერმინოლოგიის სწორად და თანმიმდევრულად გამოყენების მეშვეობით ინგლისურ ენაზე აზრების ნათლად გადმოცემის უნარი.</li> </ul>
<p><b>სწავლის უნარი</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ მასალის დამახსოვრების სტრატეგიები;</li> <li>✓ ინტერნეტითა და ბიბლიოთეკაში ინფორმაციის მოპოვების უნარი;</li> <li>✓ თვით-შეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარი;</li> <li>✓ სწავლის პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვის უნარი.</li> </ul>
<p><b>ღირებულებები</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ ტოლერანტობა და შესასწავლი თუ სხვათა კულტურის თავისებურებების გაგებისა და პატივისცემის აუცილებლობის შეგრძნება;</li> <li>✓ ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობისა და ენის ათვისების სფეროს კვლევისადმი ინტერესი;</li> </ul>



## საგანმანათლებლო პროგრამა

	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ აკადემიური პატიოსნება;</li> <li>✓ პროფესიული ეთიკა;</li> <li>✓ პროფესიული ზრდისა და განვითარების აუცილებლობის გაგება-გააზრება.</li> </ul>
--	--

სწავლის შედეგების რუკა:

სასწავლო კურსი / მოდული / პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი	კომპეტენციების ჩამონათვალი					
	ცოდნა და განზობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
გამოყენებითი ლინგვისტიკა	✓	✓	✓	✓	✓	✓
ლინგვოსტილისტიკა	✓	✓	✓	✓	✓	
სოციოლინგვისტიკის შესავალი	✓	✓	✓		✓	
ანგლო-ამერიკული ლიტერატურათმცოდნეობა 1	✓	✓		✓	✓	✓
ანგლო-ამერიკული ლიტერატურათმცოდნეობა 2	✓	✓	✓	✓	✓	✓





## საგანმანათლებლო პროგრამა

კვლევის უნარები და აკადემიური წერა ინგლისური ფილოლოგიისათვის	✓	✓	✓	✓	✓	✓
კომუნიკაციური გრამატიკა	✓	✓	✓	✓	✓	
ლექსიკური სემანტიკა	✓	✓	✓	✓	✓	
ლინგვოპრაგმატიკა	✓	✓	✓	✓	✓	
ლინგვისტური თეორიები	✓	✓	✓	✓	✓	✓
დისკურსის ანალიზი	✓	✓	✓	✓	✓	
ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგია (TKT Essentials)	✓	✓	✓	✓	✓	
ინგლისური ენის განვითარების ისტორია და თავისებურებები	✓	✓	✓	✓	✓	
სამაგისტრო ნაშრომი	✓	✓	✓	✓	✓	✓



## საგანმანათლებლო პროგრამა

### სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების განხორციელება ხდება სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

**ლექცია** - ძირითადი თეორიული მასალის, ცნებების და სხვ. განხილვა სტუდენტთა აქტიური ჩართულობით. იგი ძირითადად ორიენტირებულია შესასწავლი მასალის მეცნიერული თეორიებისა და მიდგომების საფუძვლიან შესწავლაზე. აქ აქტიურად ხდება საკითხების სიღრმისეული გაშუქება, რადროსაც გონებრივი იერიშის და სხვადასხვა ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით ხდება სტუდენტთა აქტიური ჩართვა დისკუსიებში, თემების ნათლად წარმოსახვასა და გარკვევაში.

**სამუშაო ჯგუფში მუშაობა** - ჯგუფური მუშაობა ავითარებს თანამშრომლობის პირობებში კონკრეტული ამოცანების დაგეგმვისა და რეალიზების ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს ხდება ქეისების, ქვიზების, სავარჯიშოების, მაგალითების განხილვა, რითაც სტუდენტები იძენენ პრობლემის ჯგუფურად გადაწყვეტის უნარ-ჩვევებს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გუნდში მუშაობის უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას, სხვათა აზრის გათვალისწინება/გაზიარებას და კორექტული კომუნიკაციის კომპეტენციების დაუფლებას.

**პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა** - პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებზე საკითხების სიღრმისეული წვდომის მიზნით ხდება ყურადღების კონცენტრირება საკითხების შესაბამისი მაგალითების, შემთხვევის ანალიზის (ქეისების) თუ ვიდეომასალების განხილვაზე, სავარჯიშოების შეთავაზებაზე, მათი გადაწყვეტის, ამოხსნის გზების ძიებაზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების განმტკიცებას და შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.

**სემინარი** - სემინარის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეთ ლექციაზე მოსმენილი საკითხების და თემების დეტალიზაციის, უკეთ გარკვევისა და გაანალიზების რეალური შესაძლებლობა. სემინარი ცოდნის გადაცემის საშუალებაა, რომლის დროსაც იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები და ამ პროცესის მიზანმიმართულად წარმართვას კოორდინაციას უწევს ლექტორი. სემინარული მუშაობა ტარდება საჭიროებისამებრ, სალექციო მასალის გადაცემის კვალდაკვალ.

**დამოუკიდებელი მუშაობა** - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით შესაძლებელია ლექციაზე შეძენილი ცოდნის გამყარება და გაღრმავება. დამოუკიდებელი მუშაობა გულისხმობს სახელმძღვანეოებისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გამოყენებით მასალის მოძიებას, წაკითხვას, გააზრებასა და შესწავლას, ასევე ლექციის მსვლელობისას მიღებული საშინაო დავალებების შესრულებას. ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს საკითხებისადმი ინტერესის გაღვივებას, საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილს, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.



## საგანმანათლებლო პროგრამა

აღნიშნული სწავლა/სწავლების მეთოდების განხორციელება ხდება შემდეგი აქტივობების გამოყენებით:

**პრეზენტაცია (ლექტორის მიერ)** – იგულისხმება თხრობა და საუბარი, რომლის დროსაც ინფორმაცია გადაეცემა პედაგოგიდან სტუდენტს. აღნიშნულ პროცესში ლექტორი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ. მნიშვნელოვანია ლექტორის მიერ ინფორმაციის სწორი აღქმისა და გაგების უზრუნველყოფა და გადამოწმება. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი ინსტრუქციების მიცემა. ლექტორი იძლევა კონკრეტულ მაგალითებსა და დეტალურ განმარტებებს.

**დემონსტრირება** – დემონსტრირების დროს ინფორმაციის ვიზუალური წარმოდგენა. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია, რადგან ითვალისწინებს სტუდენტის სხვადასხვა ტიპის ინტერესებს. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალის ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიწოდება. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

**ინდუქცია** - ინდუქციის მთავარი მიზანია კონკრეტული ფაქტებისა და შემთხვევების განზოგადებაზე დაყრდნობით სტუდენტმა აღმოაჩინოს და ჩამოაყალიბოს ზოგადი პრინციპები თუ საფუძვლები, რომელთა ჭრილობა შესაძლებელია პროცესების განხილვა და მოვლენების ახსნა. სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

**დედუქცია** - სწავლა-სწავლების ტრადიციული მიდგომა, სადაც ლექტორი არის ინფორმაციის მთავარი წყარო და მისი ხელმძღვანელობით სტუდენტები ეცნობიან ზოგად თეორიებს; შედეგად კი, მათი მეშვეობით ცდილობენ ლოგიკისა და ანალიზის დახმარებით მოიძიონ კონკრეტული მაგალითები, მიიღონ ცოდნა და გამოიმუშაონ სათანადო უნარ-ჩვევები. დედუქცია განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ მასალის გადმოცემის თვალსაზრისით, პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისკენ.

**ანალიზი** - თანამედროვე სამყაროში მრავალი სამეცნიერო დისციპლინა კომპლექსური გახდა; შესაბამისად, მათი შემსწავლელი კურსებიც მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას. ანალიზის მეთოდი კი გვხმარება როგორც მულტიდისციპლინარული, ასევე ინტერდისციპლინარული კურსების მასალის შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. მოცემული მიდგომა შესაძლებელს ხდის შესასწავლი საკითხის ცალკეულ ასპექტებად დანაწევრებას; ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.



## საგანმანათლებლო პროგრამა

**სინთეზი** - მისი მიზანია ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანი მიდგომის შედგენა. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

**შემთხვევების შესწავლა (case study)** - აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზი, რომელიც გულისხმობს კონკრეტული სფეროდან აღებული რეალური, პრაქტიკული მაგალითების (ქეისების) განხილვით სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა მრავალმხრივ შეისწავლოს საკითხის არსი, გააანალიზოს პრობლემის გადაჭრის შესაძლო მიდგომები და საშუალებები და მოიძიოს, აირჩიოს და დაასაბუთოს მოქმედების კონკრეტული სტრატეგიები, მიზნები და მოსალოდნელი შედეგები. „შემთხვევა“ (ქეისი) წარმოადგენს კონტექსტს და იგი თავად არის ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა კონკრეტული სასწავლო კურსის მსვლელობისას მიღებული ცოდნა სტუდენტმა გამოიყენოს პრაქტიკაში, ანუ რეალურ შემთხვევასთან მიახლოებულ გარემოში.

**გონებრივი იერიში (brain storming)** - იგულისხმება კონკრეტულ საკითხზე მრავალრიცხოვანი, განსხვავებული მოსაზრებების ჩამოყალიბება. იგი ხელს უწყობს შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას, როდესაც სტუდენტები ცდილობენ საკითხის მრავალმხრივ დანახვას და დეტალურად განხილვას. მოცემული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ჯგუფის ყოველი წევრის მაქსიმალურ ჩართულობას. იგი განსაკუთრებით ეფექტურია მრავალრიცხოვანი ჯგუფის კონტექსტში.

**დისკუსია / დებატები** - ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალება. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსიის მსვლელობისას ხდება სხვადასხვა მოსაზრების დაპირისპირება და პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ შეკითხვების დასმით. საბოლოო მიზანი ასევე არის განსხვავებული აზრების შეჯერება. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

**პროექტი** - არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

**პრეზენტაცია (სტუდენტის / სტუდენტების მიერ)** - თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების გათვალისწინებით პრეზენტაცია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ინტერაქტიულ და, თვალსაჩინოების კუთხით, ყველაზე ეფექტურ მიდგომას. იგი არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა,



## საგანმანათლებლო პროგრამა

რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის და მიღებული შედეგების პრეზენტაციის პირობებში. იგი ამალვებს სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის მოტივაციას, ასევე, ავითარებს კონკრეტულ უნარ-ჩვევებს - დაგეგმვა, კვლევის ჩატარება და მონაცემებისა თუ არგუმენტების თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად წარმოდგენა. იგი ასევე ავითარებს ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად მუშაობის უნარს.

**ელექტრონული საშუალებებით სწავლება** - გულისხმობს სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს, რომელთა რეალიზება ხდება ინტერნეტისა და მულტიმედიური სპეციფიკური საშუალებებით.

**პრობლემების გადაჭრა** - აქტივობა, რომელიც სტუდენტის მიერ მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა კონკრეტული პრობლემის შესწავლის, ანალიზისა და გადაჭრის გზით. მისი გამოყენებისას მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს პრობლემის გადაჭრით მიღებული შედეგების შეფასებასა და ანალიზს. ამ მეთოდის გამოყენებით სტუდენტს უვითარდება ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი.

**ჯგუფური მუშაობა** - გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

**ინდივიდუალური მუშაობა** - სასწავლო პროცესით განსაზღვრულ აქტივობებზე და სასწავლო პროცესში მიღებულ დავალებებზე სტუდენტის ინდივიდუალურად მუშაობა.

**წიგნზე მუშაობა** - სწავლის პროცესში აქტიურად გამოიყენება სწავლა/სწავლების საშუალება, რომლის დროსაც სტუდენტი ამუშავებს მასალას მიცემული ლიტერატურისა და სხვა წყაროების გამოყენებით.

**პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა** - იგულისხმება ახალი ცოდნის მიღებისა და შეძენილი ცოდნისა და სპეციფიკური უნარ-ჩვევების ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად დარგიდან ან სფეროდან აღებული კონკრეტულ პრობლემების გამოყენება.

**პრეზენტაციის მომზადება** - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა, რომლის დროსაც ხდება კონკრეტული საკითხისა თუ თემის შესწავლა და ისეთი უნარ-ჩვევების განვითარება, როგორცაა დაგეგმვა, კვლევის ჩატარება, მონაცემებისა თუ არგუმენტების დამუშავება, ანალიზი და დამაჯერებლად წარმოდგენა. იგი ავითარებს სტუდენტის ინდივიდუალურად მუშაობის უნარს.



## საგანმანათლებლო პროგრამა

**პროექტის მომზადება** - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა, რომლის დროსაც ხდება სტუდენტის მიერ პროექტის მომზადება. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეულ საკითხთან დაკავშირებით. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი.

**საშინაო დავალების შესრულება** - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა, რომლის დროსაც ხდება სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესით განსაზღვრული და სასწავლო პროცესში მიღებული საშინაო დავალებების შესრულება. საშინაო დავალების შესრულება გულისხმობს სასწავლო პროცესით გათვალისწინებული მასალის წაკითხვა, დამუშავებასა და შესწავლას ასევე მიღებული დავალებების წერილობით შესრულებას ან ზეპირ ფორმით წარმოდგენას.

**ელექტრონული საშუალებებით სწავლა** - გულისხმობს სწავლას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლის პროცესის ყველა კომპონენტს, რომელთა რეალიზება ხდება ინტერნეტისა და მულტიმედიური სპეციფიკური საშუალებებით.



## საგანმანათლებლო პროგრამა

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:** შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სტუდენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. საბოლოო შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. შუალედური შეფასებები განისაზღვრება მაქსიმუმ 60 ქულით და დასკვნითი შეფასება - მაქსიმუმ 40 ქულით.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას

- 1) (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა;
- 2) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;
- 3) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;
- 4) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა;
- 5) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას

- 1) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- 2) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისათვის განსაზღვრულია მინიმალური გამსვლელი ქულა. დასკვნითი შეფასების მინიმალური გამსვლელი ქულა არ უნდა აღემატებოდეს დასკვნით შეფასების 60%-ს. შუალედური და დასკვნითი ქულების გადანაწილება, მინიმალური კომპეტენციის დონე და შეფასების კრიტერიუმები აღწერილია შესაბამის სილაბუსებში.



## საგანმანათლებლო პროგრამა

კრედიტის მინიჭება შესაძლებელია:

- ა) შუალედური და დაკვნიითი შეფასებებისათვის მინიმალური კომპეტენციის დონის მიღწევა;
- ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას იღებს თუკი საბოლოო ქულა მიიღო 40-დან 50-მდე, ანუ მიიღო 51 ქულა, მაგრამ ვერ დაძლია დასკვნითი შეფასებისათვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის დონე.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის/კვლევითი კომპონენტის/პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.

შეფასების საშუალებები შემდეგია:

- ✓ ტესტი/ქვიზი/საკონტროლო წერა;
- ✓ საკლასო მუშაობა/კლასში აქტიურობა;
- ✓ საშინაო დავალება;
- ✓ დისკუსია;
- ✓ ზეპირი გამოკითხვა;
- ✓ წერითი გამოკითხვა;
- ✓ ესე;
- ✓ სემინარი;
- ✓ პრეზენტაცია;
- ✓ ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი;
- ✓ შუალედური და დასკვნითი გამოცდა.





## საგანმანათლებლო პროგრამა

შეფასების კომპონენტებს შორის, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, არის სისწორე, სიზუსტე, სისრულე, თეორიული დასაბუთების, პრაქტიკული მაგალითებისა და გამოყენებული ტერმინოლოგიის ადეკვატურობა, დისკუსიებში მონაწილეობის ხარისხი და არგუმენტების ლოგიკურობა.

### სწავლების ორგანიზების თავისებურებები:

სამაგისტრო პროგრამისათვის გათვალისწინებული 120 კრედიტი (ECTS) გადანაწილებულია ორ აკადემიურ წელზე, ოთხ სემესტრზე და თითოეული სემესტრის განმავლობაში სტუდენტი იღებს 30 კრედიტს თითოეულ სემესტრში.

კრედიტების დაანგარიშების სისტემა ეფუძნება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას: 1 კრედიტი უტოლდება 25 საათს, რომელშიც შედის როგორც საკონტაქტო, ასევე სტუდენტის მიერ შესრულებული დამოუკიდებელი სამუშაოსათვის გათვალისწინებული საათები.

ერთი აკადემიური წელი შედგება 38 კვირისაგან და აქედან 15 კვირა (შუალედური გამოცდის ჩათვლით) ეთმობა ლექციებს. დასკნით გამოცდა ტარდება მე-17-19 კვირაში. სამაგისტრო პროგრამის ყველა კურსი არის 10 კრედიტიანი და საბაკალავრო პროგრამისაგან განსხვავებით, სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა მოითხოვს მეტ დამოუკიდებელ მუშაობას. ამას გარდა, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს უხდება მეტი ლიტერატურისა და მასალის დამუშავება და უფრო სიღრმისეული შესწავლა. სტუდენტებმა უნდა აითვისონ 10 კრედიტი სასწავლო კურსიდან „კვლევის უნარ-ჩვევები და აკადემიური წერა ინგლისური ფილოლოგიისათვის“; ისინი 60 კრედიტს იღებენ სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებიდან, ხოლო 20 კრედიტს კი არჩევითი კურსებიდან; ბოლო, მე-4 სემესტრში სტუდენტი წერს სამაგისტრო ნაშრომი და საჯაროდ იცავს მას.

### დასაქმების სფერო:

აკადემიური სფერო - ინგლისური ენის მასწავლებელი სკოლაში (ნებისმიერ საფეხურზე, მაგრამ კანდიდატი დამატებით ერთვება მასწავლების სერტიფიცირების პროგრამაში), ადმინისტრაციული პერსონალი განათლების სფეროში, ინგლისური ენის პრაქტიკული კურსების მოწვეული პედაგოგი უნივერსიტეტში.

არა-აკადემიური სფერო - კურსდამთავრებულის შეუძლია იმუშაოს ჰუმანიტარული პროფილის მქონე სამთავრობო და არა-სამთავრობო ორგანიზაციებში.



## საგანმანათლებლო პროგრამა

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამართულ მუშაობას:

- ✓ პროექტორებით და სხვა სასწავლო რესურსით აღჭურვილი აუდიტორიები;
- ✓ უწყვეტი ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრი;
- ✓ თანამედროვე ტექნოლოგიებით, ინტერნეტით და მდიდარი ბეჭდური და ელექტრონული წიგნების ფონდით აღჭურვილი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- ✓ უნივერსიტეტის ელექტრონულ ბაზაში (Smart) სასწავლო კურსების გახსნისას ლექტორების მიერ განთავსებული სასწავლო თემატიკის შესაბამისი სლაიდები;
- ✓ უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული სხვა მატერიალური რესურსი.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.



## საგანმანათლებლო პროგრამა

### სასწავლო გეგმა

სასწავლო კურსი / მოდული/ პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი	სტატუსი	კრედიტების რაოდენობა	კრედიტების განაწილება სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით				საათების განაწილება							
			I ს.წ.		II ს.წ.		საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი მუშაობა	ჯამური საათები	საკონტაქტო საათების რაოდენობა კვირაში
			I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	ლექცია / კონსულტაცია	სემინარი/ჯგუფური მუშაობა/ პრაქტიკული სამუშაო	შუალედური გამოცდა(ა/ები)	დასკვნითი გამოცდა	სულ საკონტაქტო			
სასწავლო კომპონენტი	სავალდებულო/ არჩევითი	90	30	30	30		228	159	18	21	426	1824	2250	
კვლევის უნარ-ჩვევები და აკადემიური წერა ინგლისური ფილოლოგიისათვის	სავალდებულო	10		10			17	26	2	3	48	202	250	3
ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები	სავალდებულო	60	20	20	20		155	103	12	14	284	1216	1500	
გამოყენებითი ლინგვისტიკა	სავალდებულო	10	10				29	14	2	3	48	202	250	3
ლინგვოსტილისტიკა	სავალდებულო	10	10				20	23	2	2	47	203	250	3



## საგანმანათლებლო პროგრამა

სციოლინგვისტიკის შესავალი	სავალდებულო	10		10			29	14	2	2	47	203	250	3
ანგლო-ამერიკული ლიტერატურათმცოდნეობა 1	სავალდებულო	10		10			29	14	2	2	47	203	250	3
ანგლო-ამერიკული ლიტერატურათმცოდნეობა 2	სავალდებულო	10			10		29	14	2	3	48	202	250	3
კომუნიკაციური გრამატიკა	სავალდებულო	10			10		19	24	2	2	47	203	250	3
<b>ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები</b>	<b>არჩევითი</b>	<b>20</b>	<b>10</b>		<b>10</b>		<b>56</b>	<b>30</b>	<b>4</b>	<b>4</b>	<b>94</b>	<b>406</b>	<b>500</b>	
ლექსიკური სემანტიკა	არჩევითი	10	10				28	15	2	2	47	203	250	3
ლინგვისტური თეორიები	არჩევითი	10	10		10		28	15	2	2	47	203	250	3
ლინგვოპრაგმატიკა	არჩევითი	10	10				28	15	2	2	47	203	250	3
დისკურსის ანალიზი	არჩევითი	10	10				17	26	2	2	47	203	250	3
ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგია (TKT Essentials)	არჩევითი	10			10		22	21	2	2	47	203	250	3
ინგლისური ენის ისტორია და განვითარების სპეციფიკა	არჩევითი	10			10		29	14	2	2	47	203	250	3
<b>კვლევითი კომპონენტი</b>	<b>სავალდებულო</b>	<b>30</b>				<b>30</b>	-	<b>30</b>	-	-	-	<b>720</b>	<b>750</b>	<b>2</b>
Master Thesis	სავალდებულო					30	-	30	-	-	-	720	750	2
<b>სულ</b>		<b>120</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>228</b>	<b>189</b>	<b>18</b>	<b>21</b>	<b>426</b>	<b>2544</b>	<b>3000</b>	

**შენიშვნა:** რადგან არჩევით სასწავლო კურსებს არ აქვთ საათების ერთნაირი განაწილება მათი ჯამური საათების დაანგარიშებისას აღებულია პირველ გრაფაში მითითებული სასწავლო კურსის მონაცემები.



## საგანმანათლებლო პროგრამა

სასწავლო გეგმის დამატებითი ცხრილი და ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ

№	სასწავლო კურსი / მოდული/ პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი	კოდი	სემესტრი	წინაპირობა	ლექტორი	ძირითადი ლიტერატურა
1	კვლევის უნარ-ჩვევები და აკადემიური წერა ინგლისური ფილოლოგიისათვის	350124 PHIL5 10	II	არ არის	ნიკოლოზ ფარჯანაძე, პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი	<ol style="list-style-type: none"> <li>Litosseliti, L. (Ed.) (2010) Research Methods in Linguistics. Continuum. London.</li> <li>Wallwork, A. (2011) English for Writing Research Papers. Springer. New York.</li> </ol>
2	გამოყენებითი ლინგვისტიკა	350115 PHIL5 01	I	არ არის	ზაალ კიკვიძე, ფილოლოგიის დოქტორი, მოწვეული ლექტორი	<ol style="list-style-type: none"> <li>Davies, A. (2007). Introduction to Applied Linguistics: from practice to theory. Edinburgh Textbooks in Applied Linguistics. Edinburgh University Press.</li> <li>Simpson, J. (Ed.) (2011) The Routledge Handbook of Applied Linguistics. Routledge.</li> <li>Cook, G. (2003) Applied Linguistics. Oxford University Press.</li> </ol>
3	ლინგვისტიკის ისტორია	350116 PHIL5 02	I	არ არის	ლია თოდია, ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი	<ol style="list-style-type: none"> <li>Lesley Jeffries (2010) "Stylistics"; Cambridge University Press.</li> <li>Elizabeth Black (2006) "Pragmatic Stylistics"; Edinburgh University Press.</li> </ol>
4	სოციოლინგვისტიკის შესავალი	350119 PHIL5 05	II	არ არის	ზაალ კიკვიძე, ფილოლოგიის დოქტორი, მოწვეული ლექტორი	<ol style="list-style-type: none"> <li>Wardhaugh, R. (2006). An Introduction to Sociolinguistics. Oxford: Basil Blackwell.</li> </ol>
5	ანგლო-ამერიკული ლიტერატურათმცოდნეობა 1	350120 PHIL5 06	II	არ არის	ელისო ფანცხავა, ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი	<ol style="list-style-type: none"> <li>Sanders A. `The Short Oxford History of English Literature`, Oxford University Press. 2004.</li> </ol>



## საგანმანათლებლო პროგრამა

						2. Richard J. Gray `A Brief History of American Literature~; Willey – Blackwell, 2011.
6	ანგლო-ამერიკული ლიტერატურათმცოდნეობა2	350123 PHIL5 09	III	ანგლო-ამერიკული ლიტერატურათმცოდნეობა 1	ელისო ფანცხავა, ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი	1. Sanders A. `The Short Oxford History of English Literature~, Oxford University Press. 2004. 2. Richard J. Gray `A Brief History of American Literature~; Willey – Blackwell, 2011.
7	კომუნიკაციური გრამატიკა	350125 PHIL5 11	III	არ არის	ნიკოლოზ ფარჯანაძე, პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი	1. Leech, G., Svartvik, J. (2003)A Communicative Grammar of English. Third Edition.
8	ლექსიკური სემანტიკა	350117 PHIL5 03	I	არ არის	ზაალ კიკვიძე, ფილოლოგიის დოქტორი, მოწვეული ლექტორი	1. Riemer, N. (2010). Introducing Semantics. Cambridge: Cambridge University Press.
9	ლინგვისტური თეორიები	350121 PHIL5 07	I	არ არის	ზაალ კიკვიძე, ფილოლოგიის დოქტორი, მოწვეული ლექტორი	1. David Crystal. (2009). “The Cambridge Encyclopaedia of The English Language”, Cambridge
10	ლინგვოპრაგმატიკა	350118 PHIL5 04	I	არ არის	ნიკოლოზ ფარჯანაძე, პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი	1. Levinson, S. C. (1983) Pragmatics. Cambridge Textbooks in Linguistics. Cambridge University Press. 2. Huang, Y. (2015). Pragmatics. Oxford Textbooks in Linguistics (2nd ed.). Oxford: Oxford University Press.
11	დისკურის ანალიზი	350122 PHIL5 08	I	არ არის	ნიკოლოზ ფარჯანაძე, პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი	1. Gee, J. P. (2011). An Introduction to Discourse Analysis: theory and method. Third edition. Routledge. New York and London. 2. Gee, J. P. (2011). How to Do Discourse Analysis: a toolkit. Routledge. New York and London.



## საგანმანათლებლო პროგრამა

12	ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგია (TKT Essentials)	350109 ELT50 7	III	არ არის	ეკატერინე ფიფია, პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი	<ol style="list-style-type: none"> <li>Mary Spratt, Alan Pulverness, Melanie Williams, <i>The TKT Course, Modules 1,2 and 3</i>, 2011, Cambridge University Press</li> <li>Joanne Welling (2009). <i>The TKT Course Training Activities CD-ROM</i>, Cambridge University Press.</li> <li>Dave Davies (2010), <i>TKT with Answers: Preparing for the Cambridge Teaching Knowledge Test</i>, Create Space Independent Publishing Platform</li> </ol>
13	ინგლისური ენის ისტორია და განვითარების თავისებურებები	350163 PHIL5 13	III	არ არის	მარიამ ბანძელაძე, ასოცირებული პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი	<ol style="list-style-type: none"> <li>Brinton, L. J., Arnovick, L.K. (2011) <i>The English Language: A Linguistic History</i>. Oxford University Press.</li> <li>Baugh, A. C., Cable, T. (2012). <i>A History of the English Language</i>. Routledge</li> </ol>
14	სამაგისტრო დისერტაცია	350126 PHIL5 12	IV	სამაგისტრო პროგრამაში მოცემული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი	ნებისმიერი პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული ლექტორი	-